სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში

გუშინ, ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე დაიწყო საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

თამაშის დაწყების წინ შესდგა თბილისში მყოფ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების საზეიმიო მარში–პარადი, რომლის მონაწილეებს ფიზიკური კულტურის და სპორტის საკავშირო კომიტეტის სახელით მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჩიკვაიძე.

სრულ 6 საათზე საკავშირო კატეგორიის მოსკოველმა მსაჯმა ამხ. შიროკოვმა მოედანზე გამოიწვია კიევისა და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო. თბილისელთა შეტევას სტუმრებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. თამაშის დასაწყისშივე მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა კიევის გუნდის მეკარემ სკრიპჩენკომ, რომელმაც ზედიზედ აიღო ორჯერ პაიჭაძისა და ერთხელ ხარბედიას მეტად ძლიერად დარტყმული ბურთი.

თბილისის დინამოელთა შეტევას თამაშის პირველ ნახევარში შედეგი არ მოჰყოლია. ეს უპირველესად კიეველთა თავდაცვის უნარიანი თამაშის შედეგი იყო, რომელსაც შესანიშნავად წარმართავდა თავდაცვის ცენტრი კუზნეცოვი.

წელს კიევის "დინამოს" გუნდი გაძლიერებულია ახალი მოთამაშეებით და შარშანდელთან შედარებით უკეთესად არის გაწვრთნილი. ამხანაგურ შეხვედრაში მან წელს ფრედ დაამთავრა თამაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან ფეხბურთში მოსკოვის "დინამოსთან", ხოლო წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდს მოუგო ანგარიშით 2:1.

თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო მეტად ცოცხლად. ბურთი ხშირად ტრიალებდა როგორც კიეველთა, ისე თბილისელთა კარებთან. 25-ე წუთზე კიეველთა კართან შეიქმნა მეტად კრიტიკული მომენტი. ამჯერად მეკარე სკრიპჩენკო დაიბნა, თითქოს ღიად დარჩა კარი და ღოღობერიძემ მოხდენილად გაგზავნა ბურთი ბადეში, მაგრამ თავდაცვის ცენტრმა კუზნეცოვმა თავით "გამოიტანა" ბურთი.

თანდათან აშკარა გახდა თბილისელთა უპირატესობა.

ორიოდე წუთი დარჩა თამაშის დამთავრებამდე. სწორედ ეს ორი წუთი აღმოჩნდა გადამწყვეტი. კიეველთა კართან ახლოს მისულ ანთაძეს "სარმა" გამოსდეს. მსაჯმა დანიშნა საჯარიმო დარტყმა. ბორის პაიჭაძის მიერ მძლავრად დარტყმული ბურთი გაეხვია კიეველთა კარის ბადეში.

თამაში დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე 19 აპრილს ერთმანეთს შეხვდნენ თბლისისა და კიევის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობანი. თამაში დამთავრდა ფრედ – 0:0.

21 აპრილი, 1946 წ.